43.

№ 9
Бром
19 ოქტომბერი
რემედასის
საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების
ყოველთვიური ორგანო
28 ტფილისი

თვიდან-თვემდე

ინდონეზია

გაფიცულთა განადგურება

ჰოლანდიის მთავრობის მადნეულებში—კუნძულ ბილიტონში (ჰოლანდიის ინდოეთი), სამთო-მადნო მუშებმა გაფიცვები გაოცადეს. გაფიცულთა და პოლიციელებს შორის ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებებს. მოკლულია ერთი გაფიცული, ხოლო შვიდი კი მძიმეთ დაიჭრა.

ბატავიიდან (კუნძულ იავას სატახტო ქალაქია, ეკუთვნის ჰოლანდიას) ბილიტონში გადააგზავნეს პოლიციელთა დამხმარე ახალი ძალები.

სასამართლოს განკარგულებაში გადაცემული პოლონელი დეპუტატი სოხაცკი.

სპარსეთი

კომკავშირელ გედეაზის მკვლელობა

რიზა—შაჰის, სპარსეთის რეაქციონურმა მთავრობამ დაუზოგველი ბრძოლა გამოუცხადა რევოლიუციონურ ახალგარდობის მოძრაობასა და სპარსეთის კომკავშირს. ბევრი ახალგაზრდა კომკავშირელი უკვე კარგა ხანია რაც იტანჯება საპყრობილეში კომუნისტური მოღვაწეობის, საჭირეულმაისო დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისათვის და მეჯლისის არჩევნების სამზადისის წინააღმდეგ მოქმედების გამო.

ისინი მეტად ცუდ პირობებში იმყოფებიან, ისინი სხედან ციესა და ბნელ ჯურღმულებში რკინის ბორკილებით ხელ-ფეხ შეკრულნი. მათ სცემენ უმოწყალოთ, ისინი ათასგვარ დამცირებას იტანენ.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ შემთხვევას, ამხ. გედეაზის სამი თვის პატიმრობის განმავლობაში პოლიციის აგენტები ყინულს ადებდენ თავზე და აყენებდენ არაადამიანურ წამებებს, რათა მას გაეცა კომკავშირული ორგანიზაციის საიდუმლოება.

ამხ. გედეაზი დაიბადა 1902 წ. პროფესიით ის მბეჭდავია, ასოთ-ამწყობი, ამავე დროს ის წევრია ირაქის კომპარტიისა და კომკავშირის. მან თავისი სიცოცხლე შესწირა სპარსეთის დაბეჩავებულ მუშათა კლასის განთავისუფლებას.



გაფიცულ მუშათა დემონსტრაცია ქ. რიგაში

ფინლიანდია

საკატორღო განაჩენები

ფინეთის კომუნისტების პროცესი დამთავრდა, გამართლებულია 3 ბრალდებული, დანარჩენ 44 მიესაჯა საკატორღო მუშაობა სხვადასხვა ვადით, საერთო ჯამით—118 წ. 8 თვის რაოდენობით. უდიდესი ვადა მიესაჯა შემდეგ ამხანაგებს:—ტაიმის (15 წ.),—კივის (7 წ.),—იარვინენს (6 წ.), ხარვილიას (6 წ.),—ტუომინენენს (5 წ.),—ვუორის ($4^1/_2$ წ.).

ჩ. ა. შ. შ.

ნიუგედფორდის მძსოფველთა დევნა

აპრილის 12 დაწყებული, მქსოფველთა გაფიცვები, დღემდის გრძელდება. ამავე დროს ჯერ არ შეწყვეტილა 18 სექტემბერში გაფიცულთა დევნა, პოლიცია წააწყდა გაფიცულთა ჯგუფს. რომელსაც მოჰყვა მთელი შეტაკებები. შეპყრობილია რევოლიუციონურ პროფკავშირების მომხრე 15 გაფიცული მუშა, ამავე დროს ბევრია მოკლულიც, პოლიციელთა შორისაც არიან დაჭრილები.

იაპონია

„51 პროცესი"

ოკაიამაში დასრულდა 51 მუშის პროცესის მოსმენა, რომლებსაც ბრალი ედებოდათ კომუნისტურ პროპაგანდის გაწევაში. 41 კაცს მიესაჯა საკატორღო მუშაობა სხვადასხვა ვადით, 7 გამართლებულია. თავის განაჩენში მოსამართლემ განაცხადა: კომუნიზმი საშიშარი მოძღვრებაა, რომელიც ზიანს აყენებს ხალხმწიფოს; ამიტომ საჭიროა მის წინააღმდეგ წარმოებული იქნეს გადამწყვეტი ბრძოლა. სასამართლომ დაადგინა მოსპობილ იქნას ლენინის თხუზულებები;

ბულგარეთი

ფაშისტების მიერ მოწყობილი „ბავშთა დაცვის კავშირის" დასასრული

ბულგარეთის პრესა სავსეა ახლო წარსულში ლიკვიდაციქმნილი „ბავშთა დაცვის კავშირის" შესახებ ამაშფოთებელი ცნობებით.

ამ კავშირს გამგეობაში შედიოდენ, მთავრობის პარტიისა და ფაშისტური ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენლები. როგორც გამოირკვა ბავშთა დასახმარებლათ შეგროვილი 400.000 ლევი უგზო-უკვლოთ დაიკარგა, არც ერთ ბავშს არ მიუღია დახმარება ამ კავშირიდან. გამგეობის წევრები ყოველთვიურათ ჯამაგირს იღებდენ 3—5 ათას ლევომდე და ას-ას ლევოს ყოველ სხდომაზე დასწრებისათვის.

კავშირის ბოროტმოქმედებათა შესახებ არა ერთხელ გამოქვეყნებულა წერილები პრესაში, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც სასტიკად სდევნიდა ისეთ მუშურ ორგანიზაციებს, როგორიცაა რემედასი, მეფრაბპომი და სხვ. აშკარა მფარველობას უწევდა იმ საზიღროებას რომელსაც ადგილი ჰქონდა ფაშისტურ ბანდების ამ კავშირში.

ამრიგად, მაშინ როდესაც ს. ს. რ. კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი კაპიტალის პატიმართა დასახმარებლათ აგროვებს თანხებს, ბულგარელი ვიგანდარები მშრომელ მასებიდან აკრეფილ ფულს ჯიბეში იდებენ.

პატიმარი ფრანგი მეზღვაური.

363(∾)(051)
Ა 43.

წელიწადი მეოთხე

№ 9

ოქტომბერი

∞ 1928 ∞

რემედასი

რემედასის საქართველოს ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, ლენინის ქ.,
№ 29, II-რე სართ.

∞ ტელ. 9-78 ∞

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
ბიბლიოთეკა

640.

მეთერთმეტე ოქტომბერი

თერთემეტი წლის წინათ რუსეთის იმპერიის მუშებმა დაარბიეს თვითმპყრობელი მეფის ტახტი, გაანადგურეს მემამულე კაპიტალისტების ხელისუფლება, ხელთ ჩაიგდეს ფაბრიკა-ქარხნები და მიწები, ამრიგად მრავალტანჯული მუშათა კლასი და რევოლიუციონური გლეხკაცობა წელში გასწორდა და შეუდგა თავისი ახალ ცხოვრების შენებას.

მიუხედავათ წვრილ ბურჟუაზიის მიერ გაწეული უდიდესი წინააღმდეგობისა, ინტელიგენციის ცალკე ფენების კონტრევოლიუციონურ შემოტევების, სიმშილის, ეპიდემიისა და ქვეყნის ეკონომიური გაპარტახებისა — ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განთავისუფლებულმა პროლეტარიატმა და გლეხობამ ხელი მიჰყო სოციალისტურ აღმშენებლობას. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით განადგურებული ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და მეურნეობის აღდგენა უდიდესი ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა, მაგრამ ექსპლოატაციისა და მონობისაგან საბოლოოდ განთავისუფლებულმა პროლეტარიატმა რევოლიუციონურ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებით სძლია ყოველგვარი შემაფერხებელი მიზეზები და ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავზე ჩვენ გვაქვს უდიდესი მაღწევები.

ამხ. ლენინი და სტალინი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თერთმეტი წ. განმავლობაში საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა შესძლეს დაემტკიცებინათ თავიანთი გარეშე, თუ შინაური მტრებისათვის, რომ პროლეტარიატს გლეხობასთან მტკიცე კავშირით შეუძლია არა მარტო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, კაპიტალის თვითმპყრობელობის საბოლოოდ განადგურება, არამედ მას შესწევს ძალა ახალი ქვეყნის აღმშენებლობის, საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის მტკიცე საძირკვლის შექმნის რომელსაც წარმოადგენს ს. ს. რ. კავშირი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს კარგად ახსოვთ თავიანთი კლასობრივი მოვალეობა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე. საბჭოთა კავშირის გამარჯვებული მუშათა კლასი მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს გადასცეს საზღვარგარეთელ ამხანაგებს რუსეთის დიდი ოქტომბრის გაკვეთილები.

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთელ მშრომელთა შორის უდიდესი კავშირის გამომსახველია რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია — რ ე მ ე დ ა ს, რომელიც უჩინარი ძაფებით მჭიდროთ დაკავშირებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელ მასებთან, კაპიტალის საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებთან და დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში რემედასის მოძმე ორგანიზაციებთან.

ბურჟუაზიამ კარგად იცის ამ ორგანიზაციის მიზანი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. მან იცის აგრეთვე, რომ ამ ორგანიზაციის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის საბჭოთა კავშირის მშრომელთ. ამიტომ ის უფრო ძლიერათ ირაზმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის თავის გარშემო თავს უყრის ყველა ჯურის კონტრევოლიუციონერებს ჯაშუშებს, ჯალათებს და მეფის რუსეთის ტერიტორიის დანგრევის შემდეგ უგზო-უკვლოდ გადახვეწილ, კონტრ-რევოლიუციონურ ბანდების საცოდავ ნარჩენებს. ის ყველაფერი ამით არ კმაყოფილდება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აწარმოებს საშინელი ცილისწამების კამპანიას მოსყიდული პრესისა და აგენტების საშუალებით, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს მუშათა გამანთავისუფლებელ მოძრაობას, როგორც თავის ქვეყნის შიგნით, ისევ კოლონიალურ, თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში.

ადვილად გასაგებია ბურჟუაზიის ასეთი სიმკაცრე, საბჭოთა კავშირის და იმ მუშების მიმართ, რომლებიც სიმპატიით ეპყრობიან ოქტომბრის რევოლიუციას და ლამობენ მისი ულმობელი ცეცხლის გადატანას თავიანთ ქვეყნებში, რათა სამუდამოთ მოსპონ ჩაგვრა-მონობა ექსპლოატაცია, უუფლებობა და უსამართლობა.

საბჭოთა კავშირი ცოცხალი და ძლიერი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია თავისუფალ პროლეტარიატის და გლეხკაცობის ფოლადისებურ ენერგიას. ბურჟუაზიული ქვეყნების მილიონიანი მშრომელი მასები გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ იმ უდიდეს სოციალისტურ აღმშენებლობას, რომელიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში. ყველაფერი ეს მუშათა კლასისადმი შურისძიების

გრძნობით ავსებს ბურჟუაზიას, მის ერთგულ დამქაშს — საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მხარში უდგას მას და ხელს უწყობს იმ საზიზღარ ცილისწამების კამპანიას, რომელსაც ბურჟუაზია აწარმოებს პროლეტარიატის წინააღმდეგ.

იმ მრავალრიცხოვან მუშათა დელეგაციებს, რომლებიც ჩამოდიან საბჭოთა კავშირში, ჩვენი მიღწევების გასაცნობათ, თავიანთი ქვეყნებში დაბრუნების შემდეგ საჯაროზე გამოაქვთ ბურჟუაზიის საზიზღარი ცილისწამება საბჭოთა კავშირის მიმართ, აყალიბებენ დახმარების კომიტეტებს, ს. ს. რ. კავშირთან კულტურულ დამოკიდებულებათა საზოგადოებებს, შედიან წევრათ წმინდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში და სხვ.

ბურჟუზია არ კმაყოფილდება ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ პროვოკაციის წარმოებით, ის ამავე დროს სდევნის და სასტიკად უმასპინძლდება საბჭოთა კავშირის მეგობრებს. ის ავსებს თავის საპყრობილეებს რევოლიუციონურ პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებით და აწყობს მათი გასამართლების ახალ-ახალ პროცესებს.

ნახევარი წლის განმავლობაში ბურჟუაზიამ მოაწყო სასამართლოს 906 პროცესი, გამოიტანა 3395 სასიკვდილო განაჩენი, გაასამართლა — რევოლიუციონური პროლეტარიატისა და გლეხკაცობის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ასეული ათასი საუკეთესო გმირები და მიუსაჯა მათ ციხე-კატორღა უდიდესი ვადით, მაგრამ ეს დაუსრულებელი წამება, მხოლოდ ამტკიცებს და აძლიერებს საერთაშორისო ოქტომბრისათვის მებრძოლთა სულიერ მდგომარეობას. ეს მწარე გაკვეთილები თვალს უხელს საზღვარგარეთელ პროლეტარიატსა და გლეხობას, მათთვის აშკარა ხდება კაპიტალისტების საზიზღარი საქციელი და დღითი-დღე იზრდება მათში საბჭოთა კავშირისადმი ნდობა და სიმპატია.

როგორც აღვნიშნეთ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი სოციადისტურ ქვეყნის შენებასთან ერთად არ ივიწყებს თავის საზღვარგარეთელ ამხანაგებს, რომლებიც საპატიმროთა ბნელ ჯურღმულებიდან ებრძვიან საერთაშორისო მუშათა კლასის სისხლის მსმელ ჯალათებს. ამიტომაც იყო რომ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა სამოქალაქო ომის დასრულებისა და ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ — 1922 წ. „ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების" თაოსნობით დაარსეს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე ორგანიზაცია.

დღეს რემედასის ორგანიზაცია მოღვაწეობს 44 ქვეყანაში და მასში ჩაბმულია 10 მილიონზე მეტი სხვადასხვა ტომის მშრომელი. მარტო ს. ს. რ. კ. რემედასის ორგანიზაციებში ითვლება $3^1/_2$ მილ. წევრი, რომლებსაც ყოველწლიურად რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად შეაქვთ მილიონ მანეთზე მეტი. ეს თანხა ხმარდება ბურჟუაზიულ ქვეყნების საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებსა და მათ უმწეოდ დარჩენილ ოჯახის წევრებს.

საერთაშორისო პროლეტარიატისა და საბჭოთა ქვეყნებს შორის კავშირის განმტკიცებით, პოლიტ-პატიმრებზე შეფობით, მოძმე ორგანიზაციებთან კავშირის გაბმით — რემედასი აცნობს საერთაშორისო პროლეტარიატს ოქტომბრის რევოლიუციის მაგალითებს და ხელს უწყობს $3^1/_2$ მილიონ წევრთა ინტერნაციონალურად აღზრდას.

საბჭოთა კავშირის რემედასის გარშემო მტკიცე რიგებათ დარაზმული მუშები და გლეხები ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავზე გადასძახებენ საზღვარგარეთელ პროლეტარიატს და მოუწოდებენ მათ საერთაშორისო ოქტომბრის მტკიცე საძირკვლის — ს. ს. რ. კ. დასაცავად და საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების გასაძლიერებლად.

ამხ. სტალინი.

ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავზე ს. ს. რ. კავშირის მშრომელნი მხურვალეთ ესალმებიან ბურჟუაზიულ ქვეყნებში მებრძოლ რევოლიუციონურ პროლეტარიატს!

ძირს ფაშიზმი, თეთრი ტერორი, გაუმარჯოს საერთაშორისო წითელ ოქტომბერს!

ჩვენი ოქტომბერი და ბრძოლა საერთაშორისო ოქტომბრისთვის

დღეს ჩვენ ვზეიმობთ ოქტომბრის რევოლიუციის მეთეთრთმეტე წლის თავს. ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ ჩვენს გამარჯვებას და ჯამს ვუსვამთ ჩვენს მიღწევებს, აღვნიშნავთ დაშვებულ შეცდომებს, ვათვალიერებთ ჩვენი კავშირის შინაურ და გარეშე პოლიტიკას და ვისახავთ მომავლისათვის სამოქმედოთ ახალ გზებს. იქ კი, კაპიტალის სამფლობელოში — კოლონიალურ თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში სწარმოებს რევოლიუციონური ბრძოლა.

დღეს იქ ზეიმობს თავის გამარჯვებას კაპიტალი. ეცემიან მისი დარტყმით მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული გმირები, ის ამავე დროს საუკეთესო რევოლიუციონერებით ავსებს თავის საპყრობილეების ბნელ ჯურღმულებს და უდაბნოთ ქცეულ კუნძულებს, სადაც მძვინვარებს შავი სიკვდილი. მეტის-მეტად მძიმეა მათი ცხოვრების პირობები, იმდენად მოუთმენელი და აუტანელი, რომ როცა ჩვენ ვეცნობით „კულტურულ“ ქვეყნებში პოლიტ-პატიმართა და გადასახლებულთა პირობებს და მას ვადარებთ „ს ი ს ხ ლ ი ა ნ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს“ დროინდელ პირობებს ციხესა და გადასახლებაში, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ „კულტურულ ქვეყნებში“ გაცილებით უფრო მძიმე პირობებში არიან რევოლიუციონერები.

ის, რაც საერთაშორისო ბურჟუაზიას და მის სწავლულებს ფანტაზიათ და უტოპიათ მიაჩნდა, დღეს ხორციელდება, ამიტომ არის, რომ მათ სიკვდილის შიში იპყრობთ, როცა მოიგონებენ ამხედრებულ მუშათა კლასის შურისძიებას თავიანთ კლასიურ მტრებისადმი. სიკვდილის პირად დამდგარი, საერთაშორისო ბურჟუაზია სასტიკად უმასპინძლდება საერთაშორისო რევოლიუციის ერთგულ ჯარისკაცებს. ის სარგებლობს ყოველგვარი საშუალებებით, როგორიცაა: მკვლელობა სასამართლოს განაჩენის გარეშე, ყოველ მოსახვევებში, ყველას თვალწინ, ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფათ, მხჩოლავი გაზებით ამოგუდვა, ფრჩხილების დაგლეჯა, ცხვირიდან წყლის ჩასხმა, ელექტრონით წამება.

ყველაფერ ამას დაუმატეთ საშინელ პირობებში ყოფნა უძველეს სიმაგრეთა ბნელსა და ნესტიან დილეგებში. გადასახლება შორეულ კუნძულებზე, სადაც მძვინვარებს შავი სიკვდილი, ციებცხელება, შხამიანი მკბენარა მწერები; გამხეცებული ფაშისტური ბანდები ასეთ საშინელ პირობებში აგდებენ მუშათა კლასის იდეებისათვის თავდადებულ მეომრებს. ამავე დროს ისინი ყოველ დღე არბევენ და ანადგურებენ პროფესიონალურ და სხვა მუშათა ორგანიზაციებს.

ყველაფერი ეს არ არის მოჭორილი ამბები, არამედ ამას ადგილი აქვს ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მაგრამ ამ საშინელებას არ უშინდება მებრძოლი მუშათა კლასი, გუშინდელი მონა-მორჩილი, პირიქით ის გმირულათ უხვდება ამ შემოტევებს და იბრძვის საერთაშორისო ოქტომბრისათვის. მათ კარგათ იციან, რომ მუშათა კლასმა გაარღვია საერთაშორისო ბურჟუაზიის ერთიანი რკინის ჯაჭვი, მათ კარგათ იციან, რომ სამყაროს ერთ მეექვსედ ნაწილს განაგებს გამარჯვებული პროლეტარიატი, ამრიგათ ჩვენი ოქტომბერი თავდებია საერთაშორისო დიდი ოქტომბრის ბრწყინვალე და აუცილებელი გამარჯვებისა.

ჩვენ სრულიად დამშვიდებულნი შევსცქერით საერთაშორისო ოქტომბერს დარწმუნებულნი იმაში, რომ ახლოა ის, ის მოდის მთელი თავისი ძლიერებით. მკაფიოდ მოისმის მილიონიან პროლეტარულ რიგების ნაბიჯების ხმა და რაც უნდა აუტანელი არ იყოს თეთრი ტერორის შემოტევა, ის მაინც ვერ შეაჩერებს საერთაშორისო ოქტომბრის ძლევამოსილებითი სვლას.

ჩვენ კი, რემედასელები, ვალდებულნი ვართ ვამაგროთ და ვამტკიცოთ ამ საერთაშორისო რევოლიუციის ზურგი, ჩვენ უნდა მოვამზადოთ მილიონიანი მშრომელი მასა კაპიტალის პატიმართა დასახმარებლათ, ჩვენ უნდა შევიჭრათ კაპიტალის ყველაზე უფრო მიყრუებულ კუნჭულებში, რათა მის მიერ დამონავებულ და დაბეჩავებულთა გულში ავანთოთ გამარჯვების რწმენის ძლიერი, მოგიზგიზე ცეცხლი, ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ მათ, რომ ისინი მარტონი არ არიან ამ ბრძოლაში, ჩვენ მათთან ვართ.

ყოფილი პოლიტ-კატორღელი:

ატაგეგოვ-ტუმასი.



ბურჟუაზიის საომარი სამზადისი

მ ს ო ფ ლ ი ო ხ ა ნ ძ ა რ ი

ტყვიით დაჭრილი დარაჯი ბოძთან ჩაიკეცა

ერთხელ ვიხილეთ ზვავად მოწოლილი
გულების გუგუნი
და ვიგრძენით
ამოხეთქილი ვულკანები,
მკერდების ქვეშ შეუწყვეტლად დუღილში მყოფი.
გაჩნდა ხანძარი.
და ხანძრის ალი ანათებდა მსოფლიოს თვალებს,
მსოფლიოს თვალებს აბრმავებდა სიმწვავე და ელვარება მისი ცეცხლის.
ეს ჩვენ.....
ჩვენ დავანთეთ ხანძარი უმხურვალესი, უმშვენიერესი
ჩვენ დავანთეთ ხანძარი უმხურვალესი, უდიდესი.
ცეცხლში გზნებული აღმოსავლეთი მზესთან ერთად დგება ამ ახალ განთიადზე, შესცქერის ქვეყანას და გასძახის გმირულ დაძახილით:
ხალხო მშრომელნო და დაჩაგრულნო!..
ხალხნო დაღვრილნო ოფლად და სისხლად!...
ხანძარი რომ აენთო, ეს თქვენი მზეა,
თქვენი ბედის მომავალია.
იბრძოლეთ!..
იბრძოლეთ ამ მზისთვის; —
მკერდები არ იგრძნოთ ხორცად და ძვლებად,
ის ფოლადია ცეცხლში ნაჭედი; —
მკლავები თქვენი ემსგავსებოდეს
დეე თუჯს,
ბრინჯაოს.
ოღონდ თვითეული მოქნევა სწყვეტდეს ბორკილს, თვითეული დარტყმა ამსხვრევდეს რგოლს, მონების ჯაჭვად გადაჭდობილებს....
და როცა იფეთქებს შური და სიძულვილი, როცა დაგროვილი ბრაზი ყელს მოასკდება და თვალები აელვარდება მჭრელ და ბასრ მახვილად,
მაშინ....
მაშინ გაჩნდება მეორე ხანძარი,
ხანძარი მსოფლიოს გარდაქმნის, გადაგვარების...
უცბად აენთება უსაზღვრო სივრცეში ერთი კი არა,
მილიონი მზე.
მილიონი მნათობი.....
და თვითეული მზე იქნება თვითეული მებრძოლის მგზნებარე გული,
მგზნებარე სახე.
ეხლა კი
გადაჯაჭვეთ მკერდები მტკიცედ და მიუალერსეთ საყვარელ ქარხნებს,
ქარხნებს თქვენს აღმზრდელს, თქვენს გრძნობათა სამშობლოს, —
სადაც პირქუშად დაგცქერიან უზარმაზარი რკინის კორპუსები, გოდლები, ფოლადის თაღები...
მაგრამ, როდესაც ნაპერწკალი გაღვივდება,
გადატყორცნილი ალი გადაირბენს მსოფლიოს შუბლზე,
მაშინ, თქვენ მუშებო,
მუშებო — ძმებო,
ამხანაგებო საერთო ბედით და ტანჯვით,
შესძარით დედამიწა ყიჟინით, ხმაურით,
არც ერთი ქარხანა არ დასტოვოთ გულჩათხრობილად,
ააბობოქრეთ, ააგუგუნეთ:
საკვამლე მილებმა განუწყვეტლივ ჰფანტონ პირქუშა კვამლი.
მანქანებმა იმოძრაონ, ამუშავდენ,
ორთქლმავალებმა დაირბინონ დედამიწის მკერდი,
გემებმა ზღვებს ენა ჩაუდგან,
არც ერთი ბორბალი არ დარჩეს უმოძრაო,
არ განელდეს არც ერთი ქურა, არც ერთი გრდემლი...
აკივლდენ საყვირები,
მსოფლიო ხანძარის მოლოდინში
ასტეხონ სასიხარულო განგაში,
ამცნონ ყველას უჩვეულო წითელი განთიადის ამომავალი წუთები, ამომავალი დილა.....
და მერე; —
ქუჩებისკენ, მოედნებისკენ, ტიტველი ცის ქვეშ გაეშურენით, ააშრიალეთ დროშების ალისფერი ტყე
და ისმინეთ:
მსოფლიო ოქტომბრის დიადი სიტყვა,
მსოფლიო ოქტომბრის დიადი სურვილი...

ელიზბარ პოლუმოლდვინოვი.

ცოცხლად დამარხულნი

1926 წ. ქ. ბოლონიეში დძამბონიმ განიზრახა თავს დასხმოდა იტალიის დიქტატორს—მუსოლინს. დძამბონი აჰკუწეს ფაშისტების გამხეცებულმა ვიგინდარებმა. ეხლა კი, ორი წლის შემდეგ ფაშისტების „სასწრაფო“ და მძულვარებით სავსე სასამართლომ განაჩენი გამოუტანა დძამბონის ოჯახის წევრებს.

დძამბონის მოხუც მამას მიესაჯა: —ოცდაათი წელი საპყრობილე.

დძამბონის ბიცოლას, მოხუც დედაკაცს, მიესაჯა: ოცდაათი წელი ციხეში პატიმრობა.

მათთან ერთად გაასამართლეს დძამბონის ძმაც: ფაშისტურმა სასამართლომ, რომელმაც ესოდენი გულცივობა გამოიჩინა მოხუცებულებისადმი და მიუსაჯა მათ ოცდაათი წელი პატიმრობა თითეულს, გაამართლა მისი ძმა.

ამ, ერთი შეხედვით თითქმის საკვირველ მოვლენას უთუოდ აქვს თავისი ახსნა-განმადტება. დძამბონის ძმამ მოწმეთა ჩვენებით მოახერხა დაემტკიცებია, რომ ის ძალიან ახლოა ფაშიზმთან, რომ მას მის წევრობამდეც თითქმის არაფელი უკლია და თავის ოჯახის წევრებთან არაფელი აქვს საერთო. ცხადია ფაშისტების სასამართლოს ტრიბუნალმა ალბათ მუსოლინთან შეთანხმებით გამოაცხადა, რომ ის სრულიად უდანაშაულოა.

ოცდაათი წელი საბყრობილეს ბნელ აკლდამაში ყოფნა, ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში უმოწყალოდ ეგდო ბნელსა და ნესტიან დილეგში. დძამბონი რომ ნაჭერ-ნაჭერ არ აეკუწათ ფაშისტურ ბანდებს იმასაც მიუსჯიდენ 30 წ. პატამრობას და ის გა მოვიდოდა სრულიად მოხუცებული, გათეთრებული. მისი მამა ორმოცდაათი წლისაზე ნაკლები არ იქნება მაინც. მხოლოდ 30 წ. შემდეგ ციხის ადმინისტრაცია ალბათ გადასინჯავს შედეგებს, გადახედავს ქაღალდებს და იტყვის:

— პატიმრობის ვადა დასრულდა. თქვენ უკვე თავისუფალი ხართ. ყოველ შემთხვევაში ისინი ეტყვიან ამას მომაკვდავ მოხუცს, მაგრამ რაკი ჩვენთვის აშკარაა იტალიის საპყრობილეებში პატიმრობის საშინელი პირობები შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ 30 წ. პატიმრობის შემდეგ განთავისუფლების მუხლის პირდაპირ ადვილად შეიძლება გამოჩნდეს მენიშვნა:

— არ შეიძლება იქნეს განთავისუფლებული!

— რატომ?

ციხის ადმინისტრაცია ახალ ცნობას მოგვაწვდის.

ოქტომბრის დღეები

პარიზის მახლობლათ—სენ-დენში პოლიციელები სპეციალურ ფურგუნებში სვამენ დაპატიმრებულ დემონსტრანტებს.

— პატიმარი 15 წ. წინათ გარდაიცვალაო.

დძამბონის ბიკოლა დაახლოებით 40 წლისაა. განთავისუფლებისას ის 70 წ. იქნება.

ფაშისტური საპყრობილეები, სანატორიუმებივით რომ იყოს მორთული, მაშინაც იქიდან მხოლოდ სიკვდილის შესახვედრათ თუ გამოვლენ.

კაცობრიობამ საბყრობილე მოიგონა დამნაშავე პირთათვის, რათა ისინი ერთგვარ იზოლიაციაში იყოლიონ და შეძლებისადაგვარათ გამოასწორონ, ეჭვს გარეშეა, რომ დძამბონის მამას და ბიკოლას ფაშისტები ტყუილ-უბრალოდ აგდებდენ ამ ჯურღმულში, მათ არაფერი სჭირთ გამოსასწორებელი.

ისინი სრულიად უდანაშაულონი არიან.

აქ საიდუმლოება სხვაგან მარხია, მუსოლინი შურს ძიობს დძამბონის ნათესავებზე. რადგანაც მან განიზრახა მისი თავდასხმა. თითონ დძამბონი განშორდა ამ „შურისძიებას. მუსოლინი იმდენად ამხედრებული იყო დძამბონის ცხედრის წინაშედაც, რომ არ იცოდა რა უნდა ექნა მისთვის, ის ნაკუწ-ნაკუწად აქციეს. მუსოლინმა არ იცოდა როგორ გამოესახა თავისი ზიზღი ახალგაზრდა მებრძოლისადმი, რომელმაც განიზრახა მთელი იტალიის დახსნა მუსოლინის შავი კლანჭებისაგან.

და აი, მან დძამბონის ნათესავებს 30 წ. საპყრობილე მიუსაჯა. ეს უდრის სიკვდილს. 30 წ. შემდეგ თავისუფლებაში გამოსვლა წარმოუდგენელია. ჩვენ მხოლოდ ეროვად-ერთი იშვიათი შემთხვევა გვახსოვს, მეფის დროს შლისენბურგის საპყრობელიდან მხოლოდ **მოროზოვი** გამოვიდა ცოცხალი 25 წ. პატიმრობის შემდეგ.

ამრიგათ მსგავსი შემთხვევები იშვიათია. ამიტომ დძამბონის ნათესავების ასე დასჯას ჩვენ იძულებული ვართ ვუწოდოთ:

— სასიკვდილო განაჩენი!

ბორ. ოლენინი

საფრანგეთი და მაროკო

საფრანგეთის იმპერიალიზმი ჯერ კიდევ 1830 წლიდან მძვინვარებს ალჟირსა და ტუნისში. ამ მხარეში დღიდან თავისი შემოჭრისა ის სცდილობს ფეხი მაგრად მოიკიდოს, რათა უფრო განამტკიცოს ძლიერება თავისი იმპერიისა ჩრდილოეთ აფრიკაში. ის სცდილობს ხელში ჩაიგდოს ამ ქვეყნის მთელი ბუნებრივი სიმდიდრე, როგორიცაა: ნავთი, რკინა და სხვ. მადნეულობა.

ამ მხარეში საფრანგეთი ამკვიდრებს თავის მტაცებლურ პოლიტიკას იარაღით, დიპლომატიური გაიძვეროებით, ცეცხლით, მახვილით და რაც მთავარია ადგილობრივი, ზოგიერთი მოხელეების დახმარებით.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა ადგილობრივ მკვიდრთა დამორჩილებისათვის საკმარისი არაა ჩამოთვლილი საშუალებები, მაშინ საფრანგეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონები მიმართავენ იარაღს, ხშირად ყუმბარებსაც კი უშენენ ჰაეროპლანებიდან. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია გავიხსენოთ 1926 — 27 წ. წ. რიფების წინააღმდეგ წარმოებული ომი, რომელსაც საფრანგეთი აწარმოებდა თავისი ერთგული მოხელეებით.

საფრანგეთის მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარება, დამზადებული საქონლის გასასაღებელი ბაზრის გაფართოება და ახალი, ნედლეულის შეძენის აუცილებლობა აიძულებს საფრანგეთს ასე მკაცრად მოეპყრას თავის განკარგულებაში მყოფ კოლონიალურ ქვეყნებს.

ცხადია, ამ მიზნის განხორციელება იწვევს არა მარტო კოლონიალურ ქვეყნების მუშათა საშინელ ექსპლოატაციას, არამედ მთელი მათი მიწა-წყლის, მადნეულობათა და სხვ. ექსპლოატაციას. მაროკოს ოკუპაციის შემდეგ გლეხებისაგან ჩამორთმეულია 700.000 ჰექტარი მიწა. რიფების ტომებთან ომის შემდეგ მოწინააღმდეგებისაგან ჩამორთმეულია 40.000 ჰექტარი საუკეთესო მოსავლიანი მიწა, მადნეულის რაიონებით.

რიფების დამარცხების შემდეგ საფრანგეთის იმპერიალიზმმა მთელი თავისი ძალა მიმართა სამხრეთ მაროკოში მცხოვრებ დაუმორჩილებელ ტომების წინააღმდეგ, რომლებიც აჯანყდენ შუა-ატლასსა და ტალიფეტეში. სა-

რიფების ერთ-ერთი ტომის ბელადების ჯგუფი მაროკოში

ფრანგეთმა მაროკოს წაართვა საუკეთესო მადნეულის რაიონები, მდინარეები და წყალვარდნილები, რომელთა საშუალებით ადვილათ შეიძლებოდა მთელი მაროკოს ელექტროფიკაცია და დაბლობების მორწყვა.

სტუდენტთა დემონსტრაციის გარეკვა ქაირში

საფრანგეთის იმპერიალიზმი ცდილობს, რათაც არ უნდა დაუჯდეს ამ რაიონის ტომების სრულ დამორჩილებას, რომლებიც ხელს უშლიან მას ტრან-სახარის (უდაბნო სახარას) რკინის გზის გაყვანაში. ამ გზით უნდა შეერთდეს ჩრდილოეთი და დასავლეთ-აფრიკა, რომელიც იმყოფება ფრანგების განკარგულებაში.

ეს სარკინისგზო კავშირი აუცილებლათ ესაჭიროება საფრანგეთს ამ მეტად მდიდარ მხარედან მთელი ბუნებრივი ავლა-დიდების გასაზიდავათ. ამრიგად საფრანგეთის მიერ უკანასკნელ ხანებში ამ მხარეში წარმოებული ომი მიზნად ისახავს მოწინააღმდეგე ტომების სრულ განადგურებას, რათა მან ადვილათ შესძლოს ტრანს-სახარის რკინის გზის გაყვანა.

ამ გზის გაყვანის სტრატეგიული მიზანი ორგვარია: „საფრანგეთის აფრიკის“ თავდაცვის ჩამოყალიბება და საფრანგეთის ნაციონალურ თავდაცვის გაძლიერება.

ამ საკითხის გამო გაზეთ „ა ვ ე ნ ი რ მ ა“ თავის ფურცლებზე მოათავსა გენერალ აბიეს მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენ უფლება არა გვაქვს წუთითაც დავივიწყოთ ჩვენი ნაციონალური თავდაცვა. ჩვენ უფრო მეტად უნდა დავეყრდნოთ ჩვენი ჯარების დახმარებას. ამ ჯარის ჩამოყალიბების საქმე ჯეროვანათ მიდის, მაგრამ მას აკლია უმთავრესი რამ: ტრანსპორტი, რომელიც გაადვილებდა მის გადასხმა-გადმოსხმას, — ტრანს-სახარის გზაზე. განა აშკარა არ არის ის გარემოება, რომ თვით აფრიკის დასაცავათ დღეს საჭიროა ჯარების ჩქარი გადაყვანა ომის ასპარეზის მიხედვით?“

ეს განცხადება ნათელჰყოფს კოლონიალურ პოლიტიკის ნამდვილ ხასიათს, რომელსაც ჩვენ მივყევართ კოლონიალურ ომების გაჩაღებისაკენ, რომელმაც შეიძლება ძლიერი სახელმწიფოებიც კი გადაჰკიდოს ერთიმეორეს და მათ შორისაც დაანთოს ომის ქარცეცხლი. სამხრეთ-მაროკოანელების გმირული წინააღმდეგობა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს ომი უკიდურესობამდე იქნება წარმოებული.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ როგორც რიფების ომში, ისე აქაც მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მასები ერთსულოვნად შეებრძოლებიან ფრანგების იმპერიალიზმს, რომელიც ამზადებს მაროკოანელებსა და კოლონიების მკვიდრთა ახალი ომის ნიადაგს შუა-ატლასსა და ტალიფეტაში.

როგორც მოსალოდნელი იყო საფრანგეთის კომპარტიამ გაილაშქრა ამ ახალი საშინელი ომის წინააღმდეგ და მან მოწოდებით მიმართა მშრომელ მასებს, რათა სასტიკად შეებრძოლონ ფრანგ იმპერიალისტების ზრახვების განხორციელებას.

1914 — 18 წ. წ. იმპერიალისტური ომის წლის თავზე უდიდესი დემონსტრაციები მოეწყო, როგორც თვით პარიზში (ივრში) ისე მთელს მხარეში სამხრეთ მაროკოს ექსპედიციისა და იმ იმპერიალისტური შეტევების საპროტესტოთ, რომელსაც კაპიტალისტები აპირებენ ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ. ამ დემონსტრაციას მიზნად ჰქონდა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობათა საჯაროზე გამოფენა, რომლითაც ის ხელს უწყობს კოლონიალურ პოლიტიკის გამწვავებას ახალი ომის ცეცხლის დასანთებათ. მშრომელ მასების ასეთი ერთსულოვანი პროტესტები მაჩვენებელია იმისა, რომ საჭიროების დროს მუშათა კლასი, რევოლიუციონური პროლეტარიატი და გლეხობა მზათ არის ღირსეული პასუხი გასცეს შოვინისტურ, კაციჭამია პოლიტიკის მესვეურებსა და ყველა ჯურის კონტრევოლიუციონერებს, რომლებსაც განზრახული აქვთ ცეცხლითა და მახვილით წალეკონ მუშათა კლასის გამანთავისუფლებელი მოძრაობა, როგორც კოლონიალურ, ისე ევროპის ცენტრალურ ქვეყნებში.

პიერ სემარი.

რემედასელებო, ოქტომბრის 11 წლის თავზე არ დაივიწყოთ თეთრი ტერორის მსხვერპლნი, შეიტანეთ მთლიანად საწევრო დავალიანება!

სტეფანე კასრაძე

მეგაღუნთ უბანი

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეში

გაუვალ ტყეში მუშაობენ კაცები.

გაუვალ ტყეში სჭრიან ხეებს და ისმის ნაჯახის ცემა და ლაპარაკი.

ლაპარაკი ხშირად წყდება, თხმელების კენწეროებზე ჭირისუფლებივით მგლოვიარენი სხედან ბებერი ძერები და არ ირხევიან.

ერთგან ნაჯახს მოუხშირეს და ვიღაცამ დაიყვირა:

— მოდის ჰუუ... გზა მიეცი —

მოჭრილი ხე ერთი შეირყა და ტორტმანითა და ქშუილით იწყო ვარდნა.

ტყე თითქო შეკრთა: ძერებმა მსწრფელ ფრთები გაშალეს და გულგახეთქილის ჩხავილითა და კვნესით, თავს დაჰფარფატებენ ხეს. ის კი, მოჭრილი ხე, მსხვილი ტოტებით ედებოდა ტყეს, რომ მიბჯენოდა და ისევ დამდგარიყო, მაგრამ დაუშავდა ტოტები და მალე, დალეწილი სხეულით მიწაზე დაენარცხა.

— ხე არა და, გოლიათი მოგიჭრია ბათურია —

ბათურიამ იჭვნეულად გადახედა მოსაუბრეს, მერე გაულიმა:

— რას არ ათქმევინებ ენას? —

მოსაუბრე მკვირცხლად შედგა დავარდნილ ხეზე და სანამ შტოების სხვლას დაიწყებდა, ბათურიას ჰკითხა:

— ვტყუი თუ? —

— არა, რავა ტყუი, მე გითხარი, კაი ლაპარაკი იცი მეთქი —

ისევ გაისმა ნაჯახის ცემა. ხეს ტოტებს აცლიან; ორად გადასჭრიან და მხარზე იდებენ. ბათურიამ მძიმე მორს, მეორე მხრიდან ნაჯახი მიაშველა და კვალდაკვალ მოჰყვება ჭალარა მოსაუბრეს.

— ფარნა, სახლში არ წავიდეთ? — ეკითხება ბათურია ჭალარას.

ჭალარამ ამ სიტყვებზე ჩუმად ჩაიცინა, მაგრამ თითქო არ გაუგონიაო, ეკითხება:

— ჰა, რა სთქვი? —

— ფარნა მეთქი, სახლში არ წავიდეთ? — გაიმეორა ბათურიამ.

ჭალარამ ისევ ჩაიცინა და ისევ ეშმაკური რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ცალი ფეხი ისე ღრმად ჩაეფლო ჭაობში, რომ ვერ ამოზიდა და მხარზე დადებული მორიც გადმოუვარდა. ფარნა გაჯავრდა:

— ფუჰ — დაიძახა მან, მაგრამ ხელათვე ხუმრობით დააბოლავა —

— დავბერდი, დავჩაჩანაკდი! —

ბათურიამ ჩაუარა ფარნას და როცა დაწინაურდა, განჩით მოაძახა.

— აქ მომიცადე ფარნა მოვალ ამოგიყვან და შეშასაც წაგიღებო.

ამ ხმაურობაზე ფარნა მართლა გაჯავრდა და უბრყვილო წყრომითა და მუქარით დაუყვირა ახალგაზრდას:

— თავს ნუ იგდებ ბიჭო, თორემ... —

სამაგიეროთ ეხლა ბათურიამ ჩაიცინა. ჩაიცინა რადგან ასეთი წყრომითა და მუქარით ხნიერი გლეხები მუდამ მიმართავენ ჭაბუკებს, რომელნიც ამაზე იცინიან მხოლოდ და არ თაკილობენ.

ფარნა ჭაობიდან ამოვიდა: მოროს დაეჭიდა, დიდის წვალებით გაიდო მხარზე და ბეჭებში მოხრილი, ნელის ნაბიჯით გაუდგა ბილიკს.

ბილიკი, ისე, როგორც მთელი ნიადაგი ტყეში, იყო ნესტით გაჟღენთილი: ამიტომ ფარნას ხშირად ეფლებოდა ფეხი უყეში, ხან ბარდიც ედებოდა ღარიბ სამოსზე და ჭალარა კაცი უნებურად ჩერდებოდა, რომ თავი გაენთავისუფლებია და გზა განეგრძო.

ფარნა ამ დროს ნელ სიმღერასაც ღიღინებდა და მისი უსიტყვო სიმღერა ისეთივე თვინიერი იყო, როგორც მისი დაღლილი სვლა, ამ სიმშვიდით დაყურსულ ტყეში.

მალე გათხელდა ხშირი ტყე და შორს გამოჩნდა ცალფა კარავი, კარავში კვამლი, კვამლში ბათურია, მოშორებით დაბალი ნაპირი და ნაპირზე დაზორვილი შეშა.

ფარნა მივიდა ნაპირზე და მორი დააგდო; მერე ჩოხის კალთით ოფლი მოიწმინდა და ნაპირზე დადგა. იქავე ება მათი ბაიდა.

პატარა ღელე აევსო წვიმებს, მაგრამ მისი განი მაინც არ იქნებოდა უმეტეს ვაჟკაცის ორი ნახტომისა; ღელე ზანტად და უხმაუროდ მიდიოდა ტყის შუაგულ.

ფარნა კარავში შევიდა და ცეცხლის პირას დაჯდა ბათურიას საჭმელი გამოეტანა.

ფარნამ ჯერ ჩიბუხი გაიწყო და პირველი ნაფაზი რომ გულზე დაეცა, ნეტარებით მილულა თვალები და ფიქრებში გაერთო. მერე ოდნავ შეცივდა, ანუ უკეთ, უფრო მეტი სითბო მოუნდა და მას ფიქრები არ შეუცვლია, ისე, ხელები დაიფშვნიტა და ცეცხლისკენ მიიწია.

თებერვალი იდგა.

არ თბილოდა, თუმცა ზამთარიც არ სჩანდა და ხეებსაც მოესხა შეკუმშული მწვანე ყლორტები. მუქი და სქელი ცა მაღლიდან დასწოლოდა ტყესა და ჰაერი აევსო ცვრითა და ნამით; მზეც არ სჩანდა:

მზეს უთუოდ ცა გაელია და მის ალმაცერ სხივებს ერთგან ტატნობი გაერღვია და მიმავალ თეთრ ღრუბლების კიდეები ალისფერად აეგზნო.



შრომის საერთაშორისო დაცვის მიერ ორგანიზებული მასიური დემონსტრაცია საკოსა და ვანცეტის წამების წლის თავზე ნიუ-იორკში. დემონსტრანტებს მიაქვთ პლაკატები წარწერით: „გაანთავისუფლეთ თომა მინი და ბილინგსი“. „პატივი ეცით საკოსა და ვანცენტის ხსოვნას“

ყველაფერი ეს ჭალარა ფარნას ხუმრობისა და ნელ მასლაათისათვის განაწყობდა.

მან ერთი ხ ნგრძლივად დაამთქნარა, თანაც დაამღერა თვის მთქნარ ჩას და მოისაზრა რა სასაუბრო, წინასწარ გაიღიმა:

— ბათური — დაიწყო მან — რაო, შენ რა სთქვი ამას წინათ?.. მე მომეყურა ვითომ მაგდანა დაგესახელებიოს...

ბათურია ილუკმებოდა; როცა ფარნამ ხმა ამოიღო, მან გაიღიმა, მაგრამ როცა მაგდანა უხსენეს, უეცრად გული აუძგერდა, სახეზე წამოწითლდა და ღიმილი გაუქრა.

არაფერი არ მითქვამს მე — უფრო უკმაყოფილოდ სთქვა ბათურიამ.

— როგორ არა, შენ არ სთქვი სახლში წავიდეთო, მაგდანა მელოდებაო, თუ რაცხა ასეთი? —

ისევ იღიმოდა ფარნა.

— არაფერი არ მითქვამს მე... — უკმაყოფილოთ გაიმეორა ბათურიამ. ფარნამ გაიცინა:

— ჰმ, არაფერი არ მითქვამსო. არც სახლში წასვლა გითქვამს? — არ ეშვებოდა ფარნა.

ბათურიამ კარგად იცოდა ფარნას ხასიათი; იცოდა, რომ მას ძალიან უყვარდა ოხუნჯობა და მის ოხუნჯობაზე ბათურიაც მუდამ იცინოდა, მაგრამ ეხლა სიცილი კი არა, უბრალო პასუხი ვერ მოეხერხებია და მხოლოდ წითლდებოდა.

— კარგი... — ეშმაკური ღიმილით გამოუცხადა ფარნამ ახალგაზრდას, თითქო გაათავა და მეტს არ გააგრძელებსო, მაგრამ ხელათვე დაიწყო:

— აბა, შენ თუ არაფერი გითქვამს მაგდანამ მე ძითხრა ჩემო ბიძია, რომ ბათურიასთანა გონჯი ბიჭი მეორე არ მეგულებაო! ჰა? რას იტყვი შენ ამაზე? ჰა? —

ჭაბუკმა მეტი ვერ მოითმინა და იფეთქა:

— კაცო, შემოჩენილი ხომ არა ხარ, თავი დამანებე! — გულიანად დაიძახა მან, კარვიდან სწრაფად გავიდა და ნაპირზე დადგა.

ფარნა კი ამ დროს ხმამაღლა იცინოდა, თვალზე ცრემლი ადგებოდა, ახველებდა და როცა ხველა გაათავა ისევ ისმოდა მისი სიცილი.

— ხა-ხა-ხა-ხა შენ აგაშენა ღმერთმაო — მოჰყვა კვლავ სიცილს.

ბათურია შორიდან ჩუმ-ჩუმად უბღვერდა ფარნას, მაგრამ ჭალარა კაცის ხარხარზე მასაც ეპარებოდა ნელი ღიმილი. ძერე ფარნამ სული დაითქვა და ჭაბუკს დაუძახა:

— მოდი ჩემო ბათური, მოდი! სიცილი გავათავე — ბათურია გაემართა კარვისაკენ.

— „რაცხას კიდო იხუმრებს“ — თავისთვის ფიქრობდა ბათურია უეცრად მას გაურკვევი და უჩვეულო ხმაური მოესმა და შესდგა. ბათურიამ ყური დაუგდო.

ალბათ ფარნამაც გაიგონა ხმაური და მანაც სმენა გაიმახვილა.

ღელის ნაპირს ვილაც მოფოლავდა და ნაბიჯის ხმაური ხან წყალში ისმოდა, ხან ტყეში, გამხმარ შტოების მტვრევაზე.

მალე უცნობი კაცი გამოჩნდა; მას მაღალი ჩექმები ეცვა, ზურგზე დიდი ჩანთა ეკიდა და ღელის პირ-პირ გამალებული მობობღავდა. მუშების დანახვაზე ის თითქო შეკრთა, მაგრამ წამსვე წარბები გაშალა და სალამი მხიარული ხმით დაიძახა:

— თქვენი კაი გამარჯვება! —

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! — უპასუხეს ტყის მუშებმა!

უცნობმა ნაბიჯს უკლო, მაგრამ მაინც მიდიოდა. მაშინ ფარნამ დაუძახა:

— კაცო სად მიგეჩქარება, მოდი დაისვენე, მოშივებულიც იქნები! —

უცნობი შეყოყმანდა, მერე კარავში მოვიდა და ხელმეორედ მიესალმა მუშებს.

— ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილება — სთქვა მან, როცა ფარნამ მის წინ ღარიბი საჭამადი დასდგა. — საქმე ის არის, მართლა მოშიებული ვარ, თუმცა მეჩქარება ძალიან. ასე რომ, არ ვიცი რა უკეთესია ჩემთვის. კუჭს ვიძღობდე, თუ ისეზ გზას ვადგე?.. — ასე რო ამბობდა უცნობი, გამალებით ილუკმებოდა და ხანდაზმით მღელვარე თვალებს სტყორცნიდა იმ მხარეს, საიდანაც მოვიდა.

ასეთი ყოფა-ქცევა უჩვეულო იყო! თვითონ უცნობიც არ უნდა ყოფილიყო აქაური.

მას კარგი ტანისამოსი ეცვა, სახელოში სუფთა გახამებული პერანგი მოუჩანდა და სიტყვა-პასუხი სწავლული კაცისა ჰქონდა.

ტყის მუშები შეშფოთდენ; ორივემ იგრძნო, რომ ამ კაცს ვინმე მოსდევს, ან თვით მისდევს ვინმეს. ფარნას უნდოდა პირდაპირ ეკითხა საქმის ვითარება და თუ, რაიმე შეეძლო, თვისი დახმარებაც მიეწოდებია, მაგრამ გადაიფიქრა: ვინ იცის რა საიდუმლო ჰქონდა ამ კაცს, ან გაანდობდა თუ არა იმ საიდუმლოს უცნობ ხალხს? მიუხედავად ამისა, ფარნამ ვერ მოითმინა:

— თუ გაჭირვება გადგია რამე ჩემო ძმაო, გვითხარით, ჩვენც ხალხი ვართ... — გულწრფელად მიმართა მან უცნობს.

ბათურიამ დაუმატა:

— ჰო, ხალხი ვართ, პატიოსანი ხალხი —

უცნობს იამა ეს სიტყვები: მას თვალები გაუბრწყინდა და სახე გაუნათლდა, მაგრამ ისევ შეექცეოდა საჭმელს და ხმას არ იღებდა. ბოლოს გამოცდით შეხედა ტყის მუშებსა და სთქვა:

— თუ მართლა დამეხმარებით ძალიან დაგიმადლებთ; ხოლო დახმარება ის იქნება, თუ ამ ბაიდით მდინარის სათავეში გამიყვანთ; რაც ადრე, მით უკეთესი, რადგან, როგორც გითხარით ძალიან მეჩქარება! —

— კი შენი ჭირიმე! — დაიძახა ფარნამ. მერე ბათურიას მიუბრუნდა:

— აბა, მოვემზადოთ ბათური! ეს კაციც წავიყვანოთ და ჩვენც სახლში წავიდეთ. თვარა საბრალო მაგდანა ალბათ გველოდება.

მუშები დატრიალდენ.

ბაიდაში საჩქაროდ ჩაალაგეს ნაჯახები, ხერხები, ხურჯინი. ყველანი ჩასხდენ ბაიდაში და ღელეს დაუყვენ დალმართით.

ბათურია ნიჩბებით მუშაობდა. ფარნა საჭეს მართავდა და ბაიდა მისცურავდა სწრაფად.

ღელის ორივ ნაპირას იდგა მყუდროება და ამ მყუდროებაში იდგენ ბებერი მუხები თავის მძლავრ ტოტებითა და დასტკლეცილი კანით.

დროგამოშვებით, შორს ლაქაში წამოვარდებოდა დამფრთხალი ღალღა და მიფრინავდა. ამას ტყის მუშები ყურადღებას არ აქცევდენ.

უცნობი კი, ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა ირგვლივ და ყველაფერს აკვირდებოდა; მხოლოდ ხანდახან, თითქო გამოერკვაო, მოუსვენრად მოიხედავდა უკან, მაგრამ წამსვე მშვიდდებოდა და ისევ გატაცებით იწყებდა გარემოს თვალიერებას.

ფარნა დადუმებული ეწეოდა ჩიბუხს და ბაიდას მარჯვეც აცურებდა.

ეს სიმარჯვე განსაკუთრებით საჭირო იყო წყალნაკლებსა და ვიწრო ღელეში, სადაც შავი, სახიფათო როკები უხვად მოსჩანდა ზედაპირზე.

(გაგრძელება იქნება)

სტეფანე კასრაძე

შვიდი ნოემბერი

იმ დღეს, როცა ს. ს. რ. კ. მუშები დღესასწაულობდენ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავს, რუს თეთრ გვარდიელთა ბანდები თავს დაესხენ საბჭოთა წარმომადგენლობას შანჰაიში.

ამ თავდასხმისათვის ისინი დიდი ხნით ემზადებოდენ. საბჭოთა საკონსულოს საწინააღმდეგო თავდასხმებისათვის ოქტომბრის დღესასწაულამდე რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო კამპანია ინგლისის ოფიციოზის „ნ ო რ დ-ჩ ა ი ნ ა-დ ე ი ლ ი-ნ ი უ ს ი ს“ ფურცლებზე, რომელიც აშკარად მოუწოდებდა ფაშისტებს მოეწყოთ თავდასხმა და ამ მიზნით გამოეყენებიათ ყოფილი თეთრი არმიის დარჩენილი ოფიცერთა ჯგუფი, ოფიციოზი ამავე დროს მოითხოვდა, რათა ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ ამ უკანასკნელთათვის.

ამ ჯგუფმა 7 ნოემბერს დილიდანვე დაიწყო მზადება. შესაკრებ ადგილად დანიშნული იყო საფრანგეთის კონცესიაში საყდრის ეზო. თავდასხმის მონაწილენი ცდილობდენ ჩაეშალათ საზეიმო სამზადისი. ისინი შეურაცყოფდენ საკონსულოს თანამშრომლებს, მაგრამ რაიმე სერიოზულ ნაბიჯების გადადგმას ვერ ბედავდენ, სანამ საკონსულოში სწარმოებდა შეთანხმებულ ძლიერ სახელმწიფოთა კონსულებისა და ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიღება. მაგრამ საღამოს 7½ საათზე ქვებით, აგურებით, რევოლვერებით შეიარაღებული ბანდები მეფის დროშებით შეესია საკონსულოს და ლამობდა შიგ შეჭრას. საკონსულოს შენობის ყველა ფანჯრები ჩაანგრიეს, მთელი მორთულობა დაარბიეს, კედლებზე ემჩნეოდა გასროლილი ტყვია. საკონსულოს თანამშრომლებიდან



მასიური დემონსტრაცია ქ. ლაიპციგის ქუჩებში. (გერმანია)

არავინ დაშავებულა, მხოლოდ ქუჩაში შეიპყრეს საბჭოთა გემის ორი მეზღვაური და დამლაგებელი, რომლებსაც სცემეს უმოწყალოდ. საშინლად დაშავდა საბჭოთა გემის კაპიტანი ამხ. ლ ი ს ე ნ კ ო, რომელსაც ცემის დროს თავის ქალა ჩაუმტვრიეს. დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში, შეუხვიეს ჭრილობა, რის შემდეგ ის დაკითხა ყოფილმა თეთრ გვარდიელმა, დაკითხვის შემდეგ ის ისევ გადასცეს თეთრ ბანდებს, სცემეს ხელმეორედ, ამრიგად ლისენკომ ძლივს მიაღწია გემამდე.

ყველაზე აღსანიშნავია ის, რომ რბევის დაწყების 30 — 40 წუთის შემდეგ ძლივს გამოჩნდა პოლიცია, მისი უფროსის თანაშემწის ინგლისელი — იანგის მეთაურობით, რომელმაც წინადადება მისცა საბჭოთა საკონსულოს, უწინარეს ყოვლისა, ჩაექრო საზეიმოთ მოწყობილი, გაჩირაღდნებული ილიუმინაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმუქრებოდა წასვლით და „ღ ვ თ ი ს ა ნ ა ბ ა რ ა დ დ ა ტ ო ვ ე ბ ი თ“.

მეორე დღესაც შეეცადენ შემოსევის მოწყობას. პოლიციამ ბრბოს „მოუსწრო“ დაგვიანებით, როცა სახლის ფანჯრები უკვე დალეწეს, ეს მოხდა მიუხედავათ იმისა, რომ საკონსულომ მოსალოდნელ თავდასხმის შესახებ პოლიციას ნახევარი საათით ადრე აცნობა.

საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის მოწყობა განზრახული იყო ტიანძინშიაც, მაგრამ აქ ჩინეთის პოლიციამ გაჰფანტა უპასუხისმგებლო ბრბო. ერთი დღის შემდეგ, თეთრ გვარდიელებმა ყუმბარა გადაისროლეს საბჭოთა საკონსულოში, რასაც არავითარი ზიანი არ მოუტანია ყუმბარის უვარგისობის გამო.

ხარბინში თეთრ გვარდიელებმა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე მოაწყვეს გრანდიოზული ანტისაბჭოთა დემონსტრაცია. საბჭოთა საკონსულოსთან გავლის დროს თეთრ გვარდიელთა ბანდები ყვიროდენ: „ძ ი რ ს ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა“! მთელი ღამის განმავლობაში დაძრწოდენ თეთრ გვარდიელების ნაძირალები, არბევდენ სახლებს, ისროდენ ქვებს ფანჯრებში და არ ასვენებდენ საბჭოთა მოქალაქეებს.

ასე აღნიშნეს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი რუს თეთრ გვარდიელებმა ჩინეთის უცხოელთა უბნებში.

შ — ლი.

ოქტომბრის წლის თავი მოაბიტში

(მოგონება)

სრული ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე ვიმყოფები საპყრობილე მოაბიტში. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მომეცა საშუალება გავლაპარაკებოდი ჩემს დამცველს. დროგამოშვებით ამხანაგებთანაც ვახერხებ ხოლმე გასაუბრებას, რათა წუთით მაინც გადამავიწყდეს გერმანიის დემოკრატიულ იუსტიციის საპყრობილეში შექმნილი აუტანელი პირობები.

მე მაინც მოწყვეტილი ვარ მთელს სამყაროს. მხოლოდ დროგამოშვებით თუ ვეცნობი მის დაუსრულებელ მოძრაობას, ღელვას და მისწრაფებებს წიგნების საშუალებით, დრო და დრო „როტე ფანესაც“ კი ვღებულობ, რასაკვირველია, აქაც არის ცენზორის „გამჭრიახი“ თვალები.

მე დიდის აღფრთოვანებით ვუსმენ რევოლიუციონურ მოძრაობას, მათთან ერთად მეც მწვავედ განვიცდი მათ სიხარულს. მე მთელი ჩემი არსებით მოუთმენლად მოველი ოქტომბრის ათი წლის ზეიმის მოახლოვებას.

ამ დიადი ზეიმის მოახლოვების შესახებ მთელი კვირაობით სწერს გაზეთი „როტე ფანე“. მთელი თვეების განმავლობაში ათავსებს ის ჯონ რიდის მშვენიერ მოგონებებს ოქტომბრის დღეების შესახებ.

მე ვკითხულობ ცნობებს იმის შესახებ, რომ მთელი ქვეყნის მუშები აღფრთოვანებით ეგებებიან ამ დიად დღეს და თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან მოსკოვში ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ.

მე გულისყურით ვუსმენ და ვათვალიერებ რევოლიუციონურ მოძრაობის მსვლელობას ჩინეთში, ინდონეზიასა და სირიაში, რომლებიც სდგანან ჩემს წინაშე ვით ჩაუქროველი შუქურები საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციისა. მე ვხარობ იმით, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში დამსხვრეულია მონობის ტახტი, განმტკიცებულია მუშურ-გლეხური ხელისუფლება — საერთაშორისო ოქტომბრის ძლიერი საძირკველი — ს. ს. რ. კ.

დროგამოშვებით გაიღება საკნის მძიმე კარი და შემოდის ციხის ზედამხედველი. ის მეკითხება მე, თუ რო-

გერმანიაში ჯავშნოსანის აშენების საწინააღმდეგო კამპანია. სურათზე—ქარხნის მუშები ხელს აწერენ საპროტესტო ფურცელზე



ოქტომბრის ათი წლის თავის აღსანიშნავად მუშათა საზეიმო დემონსტრაცია ბერლინში

გორაა საქმე პარლამენტში სახელმწიფო მოსამსახურებზე ჯამაგირის მომატების შესახებ, ის წუწუნებს ცხოვრების მძიმე პირობების გამო და საბჭოთა კავშირის შესახებაც ამბობს რამდენიმე სიტყვას. ის მიმზერს მე რაღაც უნდობლათ, მაგრამ მაინც ხარბათ უსმენს ჩემს საუბარს და შეკითხვებს მაძლევს.

უკანასკნელ ხანებში ჩემთან ხშირათ შემოდიან საპატიმროს დაბალი მოსამსახურეები. ზოგი მათგანი სოციალ-დემოკრატად ასახელებს თავს. ყველა ისინი მშიშრები არიან, მაგრამ სათითაოდ ყველანი მეკითხებიან საბჭოთა კავშირის და 1917 წ. ამბებს, საუბრობენ ამავე დროს საბჭოთა ქვეყნის ძლიერებისა და აღმშენებლობის შესახებ. ყველას პარალელი გაყავს შორეულ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელმაც მათ ვერაფერი მისცა გარდა ცუდი მოპყრობისა და ჯამაგირის სიმცირისა. ყველანი სიამოვნებით მართმევენ გაზეთ „როტე ფანე"-ს, რომლის წაკითხვას ვურჩევ მე მათ დასვენების დროს.

ერთმა მათგანმა მიამბო მე იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მან მიიღო კარლ ლიბკნეხტის სახელობის სახლში „საბჭოთა კავშირის ათი წლის" გამო მოწყობილ გამოფენის დროს. როგორც გადმომცა, ის დადიოდა ამ გამოფენაზე და დიდხანს შესცქეროდა იქ მოწყობილ გერმანიის საპყრობილის საჩვენებელ საკანს. წლების განმავლობაში ის აღებდა ამ საკნის კარებს, შედიოდა და გამოდიოდა, მაგრამ მან მხოლოდ ახლა, ამ მუშათა მოზღვავებულ აუდიტორიის წინაშე იგრძნო, რომ ის მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ნაწილია იმ უდიდესი მანქანისა, რომლის საშუალებითაც მუშათა კლასს ამონავებს გამხეცებული ბურჟუაზია.

რა უდიდესი სიხარულის ცეცხლით უნდა იყოს აღზნებული მუშათა ფართე მასები იქ — თავისუფლებაში, თუ კი მათი გავლენა აღწევს ამ შორეულ კუთხეებამდე!?.

მოაბიტში პოლიტ-პატიმრებს არ შეუძლიათ თავის მოყრა და მიმდინარე პოლიტიკურ საკითხების ირგვლივ მსჯელობის წარმოება. პატიმრები აქ ცალცალკე არიან საკნებში დანაწილებულნი. მაგრამ ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ მე გავიგე საპატიმროს მთელი საიდუმლოება და მოვახერხე სხვა პოლიტ-პატიმრებთან კავშირის გაბმა.

ჩვენს საპატიმროში მოხვდა ერთი ბერლინელი მუშა. ყოველ ორ-სამ დღეში ის ღებულობდა გაზეთებს. მეორე ამხანაგი არ კმაყოფილდებოდა გაზეთის კითხვით და მოითხოვდა წიგნებს რევოლიუციონურ მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის შესახებ. მას უნდოდა სწავლის შეძენა, რათა განთავისუფლების შემდეგ უფრო ენერგიულათ ეწარმოებია რევოლიუციონური მოღვაწეობა. მანვე შემოიტანა წინადადება, რომ 7 ნოემბერს, საკნებში დაბინავების შემდეგ, ყველას ემღერა „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი".

იყვენ აგრეთვე მთელი რიგი სისხლის სამართლის დამნაშავე ახალგაზრდები, რომლებსაც სწყუროდათ სწავლისა და ცოდნის მიღება. მათ აინტერესებდათ შემდეგი საკითხები: ახალგაზრდათა შრომის დაცვა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, კლუბები, ახალგაზრდობის უფლებრივი მდგომარეობა პროლეტარულ ქვეყანაში, სქესობრივი პრობლემა, ბრძოლა პროსტიტუციასთან და განსაკუთრებით კი ს. ს. რ. კ. საპატიმროს რეჟიმი.

ამ საუბარმა მე დამარწმუნა იმაში, თუ რამდენათ უძლურია ციხის სქელი კედელი მოზღვავებულ რევოლიუციონურ მოძრაობის წინაშე.

ნოემბრის შვიდს, დილით ჩვეულებრივზე დაგვიანებით მივიღეთ გაზეთი „როტე ფანე", რომლიდანაც ცენზორს მაკრატლით ამოეჭრა ყველა „მიუღებელი" ადგილები, განსაკუთრებით დამახინჯებული იყო გერმანიის კომპარტიის ცეკას წერილი.

დღისით ყვავილებით გვეწვია რემედასის წარმომადგენელი ქალი და სალამი გადმოგვცა თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებისაგან და დასძინა, რომ ამნისტიისათვის ბრძოლა იწარმოებს მანამ, სანამ არ გააღებენ საპყრობილის ყველა კარებს და არ გაანთავისუფლებენ პოლიტ-პატიმრებს.

საღამოთი, როცა საუზმე დაარიგეს, უეცრად შემომესმა შორიდან მომავალი დემონსტრაციის ჟრიამული, რევოლიუციონური სიმღერები, მუსიკის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ისინი მოახლოვდენ კიდეც, აი უკვე მოადგენ საპყრობილის კედლებს და მძლავრად დაკაკუნეს:

— თავისუფლება პოლიტ-პატიმრებს!

ხალხმა სამჯერ უპასუხა მტკიცედ:

— თავისუფლება! თავისუფლება! თავისუფლება!

— ჩვენ მოვითხოვთ ამნისტიას!

საკნები ამოძრავდენ. დერეფნებში იმტვრევა ფანჯრის მინები. ზედამხედველები მორბიან.

ორკესტრმა დაუკრა „ინტერნაციონალი“, მას ბანი მისცა ათასობით თავმოყრილმა მასამ და გაისმა არა მარტო პოლიტ-პატიმართა სიმღერა, არამედ ძლიერათ შემოსძახეს სისხლის სამართლის დამნაშავეებმაც, რომლებიც თავიანთ იმედებს ამყარებენ მუშათა კლასის განთავისუფლებაზე.

სიმღერა შეწყდა. დემონსტრაცია ისევ უკან დაბრუნდა, მაგრამ ჩვენ, პატიმრებს, გვამხნევებს ის, რომ ჩვენ თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებთან ერთად ვზეიმობთ დიდი რევოლიუციისა და ს. ს. რ. კ. არსებობის 10 წლის თავს.

ოტო ბრაუნი

განვამტკიცოთ საზღვრები და წინ გავსწიოთ

საზაფხულო შვებულებათა პერიოდი დასრულდა.

ეხლა საჭიროა გადავხედოთ იმ სურათს, თუ რა გააკეთა რემედასმა საერთოთ საბჭოთა კავშირში 1928 წ. პირველ ნახევარში და შევადაროთ, რამდენათ შევასრულეთ ჩვენ დაკისრებული ამოცანები.

რა საშუალება გააჩნდა რემედასის საბჭოთა კავშირის ორგანიზაციებს უცხოეთის საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმართა დასახმარებლათ?

1927 წ. მთელ საბჭოთა კავშირის რემედასის ორგანიზაციების შემოსავალი უდრიდა 1.795.418 მან. ამ თანხიდან რემედასის აღმასკომს გადაეცა 1.158.773 მან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1926 წ. განმავლობაში რემედასის აღმასკომს გადაეცა 246.588 მანეთით მეტი ვინემ 1927 წ. განმავლობაში. ამ მდგომარეობამ აიძულა რემედასის ცეკა მიექცია ყველა ძირითად ორგანიზაციების ყურადღება შემოსავლის გადიდებისათვის.

რა გვაქვს ჩვენ დღეს წარსულ, 1927 წ. შედარებით? შევასრულეთ თუ არა ჩვენ რემედასის ცეკას მოთხოვნილება და მე-II-ე ყრილობის დადგენილებები?

1927 წ. იანვრიდან ივნისამდე რემედასის საკავშირო ცეკაში შემოვიდა 673.517 მან. 1928 წ. ამავე პერიოდში ცეკაში შემოვიდა 1.259.868 მან. ეს ციფრი თავისთავად მეტყველებს იმის შესახებ, რომ შემოსავალი მიმდინარე წლის განმავლობაში გაძლიერებულია 88 პროცენტით. თუ ჩვენ დაკვირვებით გადავშინჯავთ ამ შემოსულ თანხის რაოდენობას, მდგომარეობა ნაწილობრივათ დამაფიქრებელია. ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაქვს 33 ორგანიზაციის ანგარიში, სადაც ისინი თვალსაჩინოდ აღნიშნავენ საშემოსავლო მუხლებს. ეხლა შევადაროთ შემოსავლის მუხლები.

ბრიუსელის მუშა, მშენებელთა დემონსტრაცია, მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და სამუშაო დროის შემცირებას

1927 წ. განმავლობაში საწევრო და შესასვლელი გადასახადის რაოდენობა უდრიდა 198.508 მან. ნებაყოფლობით შემოწირულებანი, სპეციალური ანარიცხები, საღამო-კონცერტები და სხ. შემოსავალი უდრ.—148.317 მ.

1928 წ. განმავლობაში საწევრო და შესასვლელი უდრ. 229.286 მან.

ნებაყოფლობითი შემოწირულებანი, სპეც. ანარიცხები, საღამო-კონცერტები და სხვ. შემოსავალი—357.286 მ.

რას გვეუბნება ეს ციფრები? საწევრო და შესასვლელი თანხა გაიზარდა 31.000 მან., ხოლო ნებაყოფლობით შემოწირულებანი და სხვ. 208.969 მან. ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი შემოსავალი გაზრდილა კამპანიების, სპეც. ანარიცხების, ე. ი. აგიტაციის ხარჯზე. ერთის სიტყვით ეს მაჩვენებელია, იმისა, თუ რამდენათ განმტკიცებულა ჩვენს მშრომელ მასებში უცხოეთის პოლიტ-პატიმართადმი დახმარების შეგნება.

ამ ციფრების შედარება ამტკიცებს იმას, რომ მიმდინარე წელს საწევრო გადასახადის აკრეფა ძლიერ მოიკოჭლებს. წევრთა შემადგენლობის აღრიცხვა და საწევრო გადასახადთა აკრეფა ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე. გასულ წელს საწევრო გადასახადი აუკრეფავი იყო 48 პროც., მიმდინარე წელს ეს პროც. არ დაკლებულა, ე. ი. დარჩა იმავე მდგომარეობაში.

ეს შედარება ჩვენ გვეუბნება ამავე დროს იმის შესახებაც, რომ ჩვენი მუშაობა ცუდათაა დაყენებული მოსახლეობის ფართე ფენებში. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია რათა გლეხობის უდიდესი ნაწილი ჩავაბათ რემედასის ორგანიზაციებში, ჩვენ ამავე დროს სუსტად ვმუშაობთ დიასახლისთა შორის და კიდევ მეტი, დიდი უმრავლესობა ჩამოუყალიბებელ მშრომელ მასებისა რჩება ჩვენი ორგანიზაციის გარეშე.

წევრობა — ეს საფუძველია ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობათა.

რაში გამოიხატება ჩვენი ხარჯები? ჩვენს კომიტეტებში არიან ჯამაგირიანი თანამშრომლები, ჩვენ ვაწყობთ კონფერენციებს გადარჩევების დროს, ჩვენ ვმოგზაუ-

რობთ ორგანიზაციების მოღვაწეობათა გამოსარკვევათ— ყველაფერი ეს იწვევს ხარჯებს. ცხადია, ხარჯები უნდა იყოს მინიმალური, რათა საგრძნობლად არ დააწვეს ორგანიზაციის შემოსავალს. ჯერ კიდევ პირველმა ყრილობამ დაადგინა, რომ ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მთელი შემოსავლის 10%. შევასრულეთ თუ არა ჩვენ ეს? მართალია გასულ წელთან შედარებით ხარჯები შემცირებულია 36-დან 19,78 პროცენტამდე, მაგრამ ეს შემცირება საკმარისი არაა.

რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზაციულ მუშაობას, მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ჩვენს რიგებში ჩამოუყალიბებელ მოსახლეობის დარაზმვასა და აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებით ჩატარებას.

მხოლოდ ამ ამოცანების განხორციელებით შესძლებენ ს. ს. რ. კავშირის მშრომელები უდიდესი დახმარება აღმოუჩინონ საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ მილიონებს, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებმებიან კაპიტალიზმის ერთგულ დამცველებს.

ვ. ნ — ა.

უმოქმედო ორგანიზაცია

(ლესიჭინეს თემი, ზუგდ. მაზრა).

რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზაცია თემის მასშტაბით, რომლის ხელმძღვანელებათ არჩეულნი იქნენ ადგილობრივი მასწავლებლები. უკანასკნელ ხანებში სამაზრო კომიტეტმა სხვა ბევრ ორგანიზაციებთან ერთად გადაათვალიერა აღნიშნულ ორგანიზაციის მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ გამოირკვა, თურმე ხელმძღვანელებს დღემდის თითქმის არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ.

უჯრედის ბიურომ არ იცის რამდენი წევრი ჰყავს მას თემის მასშტაბით. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ხელმძღვანელად არჩეული ამხანაგები ფიქრობენ, რომ ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მუშაობაც ნებაყოფლობით უნდა მიმდინარეობდეს.

ჩვენ მოვაგონებთ ადგილობრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელად არჩეულ ამხანაგებს, რომ რემედასის მუშაობისადმი ასეთი მიდგომა დანაშაულს უდრის, ყოვლად დაუშვებელია და მას მომავალში არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს. ჩვენმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმძღვანელ ამხანაგების არჩევას, რათა მომავალში ადგილი არ ექნეს ორგანიზაციის ხელმძღვანელებათ „მკვდარ სულების“ არჩევას.

ასეთი მოვლენები ბევრგან არის შემჩნეული და ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელებიდან უნდა მოვაშოროთ უმოქმედო და რემედასის იდეებით ნაკლებათ დაინტერესებული ელემენტები.

ლესიჭინელ „ამხანაგებს“ მოვაგონებთ, რომ მართალია რემედასი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, მაგრამ მასში ნებაყოფლობითი, ე. ი. სხვათა შორის მოღვაწეობა ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ის კომპარტიასთან ერთად იბრძვის საერთაშორისო პროლეტარიატის განსათავისუფლებლად და მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღსაზრდელად.

„დ ა — ხ უ“.

გაფიცვა ასაწევ მანქანების ქარხნებში (გერმანია) სურათზე პოლიციელებს სამუშაოზე მიჰყავთ შტრეიკბეხერები.

აქტიური მუშაკი

(ახალ-აბასთუმანი, ზუგდ. მაზრა).

ახალ-აბასთუმანის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშაობს, ანაკლიის ქარხნიდან გადმოყვანილი მუშა ამხ. ფ ა ც უ რ ი ა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამხ. ფაცურია როგორც ანაკლიაში, ისე ახალ-აბასთუმანის ხე-ტყის ქარხანაში ენერგიულ მუშაობას აწარმოებს რემედასის ხაზით.

ამრიგათ თუ ამხ. ფაცურიას გადმოყვანამდე რემედასის წევრთა რაოდენობა აღნიშნულ ქარხანაში 65 უდრიდა, დღეს წევრთა რაოდენობა 145 აღემატება.

ამხ. ფაცურია ჯეროვანი ყურადღებით ეპყრობა წევრთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებასაც, ის გაორკეცებული ენერგიით აწარმოებს რემედასის იდეის პოპულიარიზაციას, როგორც მუშებში, ისე გლეხთა მა-

სებშიაც. ის ენერგიულად ატარებს რემედასის ერთიან-დღეებს და ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში.

ამხ. ფაცურიას თაოსნობით გავრცელდა 300 მეტი რემედასის მიერ გათამაშებული ლატარიის მომგებიანი „ტალონები", საკმაოთ ავრცელებს ის აგრეთვე რემედასის ბიბლიოთეკას და ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუშებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს რემედასის ყოველგვარი კამპანიები, ერთიანი დღის ჩატარების დროს მუშებმა 2% გაიღეს რემედასის ფონდის გასაძლიერებლად.

უნდა ითქვას, რომ მთელს მაზრაში ახალ-აბასთუმანის ხე-ტყის ქარხნის ორგანიზაცია მუშაობს ყველაზე უფრო ნაყოფიერათ, რაც უნდა მიეწეროს ამხ. ფ ა ც უ რ ი ა ს ენერგიულ ხელმძღვანელობას.

მადლობის ღირსია ასეთი ენერგიული და თავდადებული მუშაკი.

დ. ხურ — ვა.

რემედასის რკინის გზის რაიკომის მუშაობა

რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომს შემუშავებული ჰქონდა გეგმა რემედასის ფონდის გასაძლიერებლად კამპანიის ჩატარების შესახებ. ამ მიზნით გასულ თვეში ლატარიის გათამაშება ჩატარდა შემდეგ სადგურებში: გ ე ლ ა თ ში, ა ჯ ა მ ე თ ში, ხ რ ე ს ი ლ ში, ს ა წ ი რ ე ში და ტ ყ ი ბ უ ლ ში

გარდა ამისა რაიკომმა მუშა-მოსამსახურეთა შორის გაავრცელა 500 ცალი რემედასის საქ. ცენტრ კომიტეტის მიერ გამოცემული მომგებიანი „ტ ა ლ ო ნ ე ბ ი" და, თანახმად რემედასის ცეკას შეპირებისა, ხელის მომწერთ უკვე დაურიგდათ ჟურნალ „კ ა პ ი ტ ა ლ ი ს პ ა ტ ი მ ა რ თ ა ხ მ ა". ამავე დროს რაიკომს ჰყავს ჟურნალ რემედასის 150 ხელის მომწერნი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომი მიზანშეწონილად მუშაობს რემედასის ორგანიზაციის დაარსების პირველ დღიდანვე. იმედია, ხელმძღვანელი ამხანაგები მომავალშიაც პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ზ უ გ დ ი დ ე ლ ი.

რემედასის თ. კომ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

საშეფო მუშაობის შესახებ საქ. რემედასის ცეკას მიერ ადგილებს დაგზავნილი ჰქონდათ დირექტივა მიმაგრებულ ციხეების აღნიშვნით და სათანადო ინსტრუქციის თანდართვით.

მიუხედავათ იმისა, რომ საშეფო მუშაობას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალური აღზრდის და მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურ სოლიდარობის განმტკიცების საქმეში, — რემედასის ორგანიზაციები ადგილებზე დაწყებული უჯრედებიდან — ხელმძღვანელ ორგანოებამდე არ ეპყრობოდენ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღებით, რის გამო საშეფო მუშაობა მიმდინარეობს ფრიად სუსტად, ზოგ ადგილას კი სავსებით შეწყვეტილია.

საქ. რემედასის ცეკა ერთხელ კიდევ მოაგონებს ყველა ორგანიზაციებს საშეფო მუშაობის გამოცხოველების გაძლიერების აუცილებლობას და წინადადებას აძლევს:

1. განიხილოს საშეფო მუშაობის საკითხი სათანადო კომიტეტების პრეზიდიუმის სხდომებზე და შეიმუშაოს პრაქტიკული ზომები საშეფო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

2. მოიწვიოს უჯრედების მდივნების თათბირი ქალაქის, რაიონის და თემის მასშტაბით აგიტპროპაგანდისტების და აგიტპროპორგანიზატორების მონაწილეობით და გააცნოთ მათ საშეფო მუშაობის უახლოესი და მთავარი ამოცანები ცეკას მიერ წინათ მოცემულ დირექტივის და ინსტრუქციის საფუძვლების მიხედვით.

3. გააცნოთ თათბირს პრაქტიკული ზომები და ღონისძიებანი ამ საკითხის ირგვლივ შემუშავებული ადგილობრივი კომიტეტების მიერ.

4. გააბათ და განამტკიცოთ წერილობითი კავშირი როგორც ცალკე უჯრედების ისე კომიტეტების, მიმაგრებულ ციხეებთან და რემედასის ძმურ ორგანიზაციებთან საზღვარგარეთ.

5. მოაწესრიგოთ და გააძლიეროთ მატერიალური დახმარება საშეფო ციხეებში მოთავსებულ პოლიტ-პატიმრებისათვის, რის გამოც უნდა მოეწყოს ფასიანი საღამოები, ნებაყოფლობითი შემოწირულების აკრეფა ხელის მოწერის ფურცლებით და სხვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წერილები და მატერიალური დახმარება უნდა გადაიგზავნოს დანიშნულებისამებრ აუცილებლად საქ. რემედასის ცეკას საშუალებით.

6. საშეფო მუშაობის პროცესში ადგილები უნდა ხელმძღვანელობდენ ჩვენი ცირკულიარით და ინსტრუქციით ა. წ. 9 აპრილის თარიღით № 170.

7. მუშაობის შედეგების შესახებ უნდა მიაწოდოთ რეგულიარული ინფორმაცია მაღლა მდგომ ორგანიზაციებს და გააშუქოთ მუშაობის მსვლელობა პრესაში.

საქ. რემედასის ცეკას პას/მგ. მდივანი: **ძ ო ლ ი ა ვ ა.**

სააგ. საპროპ. განყ. გამგე: **ც ქ ვ ი ტ ი ნ ი ძ ე.**

რემედასის საქ. ცეკას პრეზიდიუმში

1. რემედასის საქართველოს ცენტ. კომ. მორიგი. პლენუმი გაიხსნება ქ. ტფილისში მიმდინარე წლის ნოემბრის 10, საღამოს 5 საათზე რემედასის კინო-თეატრში (ყოფ. „ო დ ე ო ნ ი" პლეხანოვის გამზ. № 103).

2. რემედასის კვირეული — საზამთრო კამპანია ჩატარებული იქნება რემედასის საქ. ყველა ორგანიზაციებში მ/წ. დეკემბრის 16-23-დე.

ტფილისი—ს.ს.მ.ტ.ს. პოლიგრაფტრესტის ქ-ლი[illegible]. პლეხ. პრ. № 91. მთავლ. № 1933 შეკვ. № 138. ტირაჟი 5000.

პოლიტ-პატიმართა წერილები

იერუსალიმის საპატიმროებში.

ძლიერ სახელმწიფოებს კოლონიალურ ქვეყნების საპატიმროებში უფრო სასტიკი რეჟიმი აქვთ შემოღებული, ვინემ თავიანთ სამშობლოში. წარმოუდგენელი და ყოვლად მოუთმენელია რეჟიმი ინდოეთის, ეგვიპტეს, ალჟირის, სირიისა და პალესტინის საპყრობილეებში. ქვემოთ ჩვენ მთლიანად მოგვყავს წერილი, რომელსაც იერუსალიმიდან აგზავნიან მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში მოძხდარ გაფიცვების შემდეგ:

„უმრავლესობა ჩვენთაგანი დაპატიმრებულია საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების გამო, — იწერებიან პატიმრები, — მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც აქ მოხვდენ იჭვის მიტანით.

ციხის ადმინისტრაციის თვითნებობა ყოველგვარ ნორმალურ საზღვარს სცილდება. ყოველგვარ კანონიერ მიმართვის საპასუხოთ ჩვენ გვესმის მხოლოთ დაცინვა და დამცირება. ყოველგვარი მოთხოვნილებისათვის თავში გვცემენ კურბაჩით (მუხის ჯოხით).

დღითი-დღე მოუთმენელი და აუტანელი ხდებოდა ჩვენდამი ადმინისტრაციის მოპყრობა, ამცირებდენ გასეირნების ვადას. ერთხელ ასეთ, გასეირნების (15 წუთი) ჩვენ პირი შევკარით, გავიფიცეთ და მოვითხოვეთ ოფიცერი. გაანჩხლებული ფელთფებელი დაერია პატიმრებს და უწყალოთ სცემდა მათ. ჩვენ ავტეხეთ ხმაურობა. ამ დროს ერთი პატიმართაგანი მძიმეთ დაიჭრა, დანარჩენები კი მსუბუქათ.

ამ ცემის საპასუხოთ ჩვენ წარვადგინეთ მოთხოვნილება, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო: საწოლები, წიგნები, წერილები, ყოველდღე ნახვის ნებართვა, ადამიანური მოპყრობა და სხვ. ამის საპასუხოთ საპატიმროს ადმინისტრაციამ მხოლოთ ცინიკურად გაიცინა. ჩვენ მაშინ მივმართეთ სხვა საშუალებას და მაისის 30 გამოვაცხადეთ სიმშილობა. მეორე დღეს ციხის კომენდანტმა გამოიძახა ზოგიერთი ამხანაგები, რომლებსაც დაარტყეს 10 — 12 როზგი, რის შემდეგ მთელი სხეულით დალურჯებული ისინი ჩააგდეს ბნელ ჯურღმულში. ერთმა მათგანმა დაიწყო ნახველში სისხლის ყოლება. ავადმყოფობის მეხუთე

საპყრობილეში

დღეს ის გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ მან აქაც განაგრძო სიმშილობა და მასთან ერთად წამლის მიღებაზედაც უარს აცხადებდა.

მეშვიდე დღეს დასრულდა სიმშილობა, — ჩვენს მოთხოვნილებას მხარი დეუჭირეს თავისუფლებაში მყოფმა მუშებმა, რომლებიც განაგრძობენ ჩვენს მიერ დაწყებულ საერთო საქმეს.

ძვირფასო ამხანაგებო, ეს წერილი ერთი უმნიშვნელო ნაწყვეტია მწარე სინამდვილისა. ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჩვენ დამშვიდებით არ ვაძინებთ ინგლისის იმპერიალიზმს. ბრძოლაში ებმებიან სულ ახალ-ახალი კადრები. მომავალი დაამტკიცებს ჩვენს სიმართლეს“.

პ/მგ. რედაქტორი: თენგიზ ულენტი.

სარ. კოლეგია:
1. ალ. ძოლიავა.
2. მიხ. ცქვიტინიძე.
3. პოლიო აბრამია.

რემედასის საქ. ცენტ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი ლენინის ქ № 29, ტელეფონი 9—78.

მიიღება ხელის მოწერა

ჟურნალ რემედას-ზე

1928 წ. განმავლობაში გამოცემული იქნება 12 ნომერი

ჟურნალ რემედასის საქ. ცენ. და ტფ. კომ. ყოველთ. „რემედას"-ი მასიური ორგანოა

(გამოცემის წელი მეხუთე)

ჟურნალ „რემედას" უმთავრეს ყურადღებას აქცევს კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრების ყოფა-ცხოვრებას თეთრი ტეროროისა და კლასიური იუსტიციის ალვირახსნილობას, მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, როგორც საბჭოთა კავშირის ისე უცხოეთის სექციებისა და ძმური ორგანიზაციების მოლვაწეობას, ჟურნალში აგრეთვე საკმაო ადგილი ეთმობა მხატვრობასა და ლიტერატურას.

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით — 2 მან. 20 კ. | სამი თვით — 60 კ.

ექვსი თვით — 1 მან. 15 კ. | ცალკე ნომერი — 20 კ.

ყოველი შეგნებული მუშა, გლეხი, კომკავშირელი, მშრომელი ქალი და საბჭოთა მოქალაქე უნდა გახდეს ჟურნალ „რემედას"-ის ხელის მომწერი.

ჟურნალ „რემედას"-ის ხელის მოწერის ჩატარება ერთ-ერთი პრაქტიკული ამოცანაა რემედასის ორგანიზაციებისა და უჯრედებისათვის.

ყოველი თვის დასაწყისში გამორკვეული უნდა იქნეს რამდენი ხელის მომწერი ეავს ჩვენს ჟურნალს რემედასის ამა, თუ იმ უჯრედში, ან ორგანიზაციაში. აცნობეთ რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობას, რომელ ვრცელდება ჟურნალ რემედასი